სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სვანური კოშკების და მაჩუბების (მესტიის მუნიციპალიტეტი) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე 2014 წლის 8 აპრილს გამოცხადებულ კონკურსზე (საკონკურსო განცხადების #1203) წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების

რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა

| # | კონკურსანტის დასახელება | დოკუმენტაციის წარდგენის თარიღი და დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | შპს „ჭედა-61" | 28.04.2014წ $10^{00}$ სთ. ნუგზარ ჩხეტიანი | |
| 2 | | | |
| 3 | | | |
| 4 | | | |
| 5 | | | |
| 6 | | | |
| 7 | | | |
| 8 | | | |
| 9 | | | |
| 10 | | | |

საკონკურსო აპარატის წევრი
გ.გოგაძე

## საგადახდო დავალება N2
"23" აპრილი 2014 წელი

რეფერენსი 2684223975

გადამხდელის დასახელება: შპს პეგანი

ანგარიში (დებეტი) GE82BG0000000178593600
(ძველი ანგ.)

თანხა 50-00

გადამხდელის ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22

თანხა სიტყვებით: ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შპს პეგანი
საიდენტ. კოდი 200217906

მიმღების დასახელება: სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) GE52BR0000010591718543

მიმღების ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა"
ბანკის კოდი REPLGE22

ბანკის აღნიშვნები
ბანკში შემოსვლის თარიღი: 23.04.14
გატარებულია ბანკის მიერ: 23.04.14
ხელმოწერა:
შტამპი / თარიღი

გადახდის დანიშნულება: კონკურსში მონაწილეობის საფასური; კონკურსის ნომერი 1203

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:
ხელმძღვანელი
ბ.ა.
მთ. ბუღალტერი

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
1443 BAGAGE22

სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა #T32908-14

თბილისი 24 აპრილი 2014 წელი

გარანტი: სს „საქართველოს ბანკი" (შემდგომში „გარანტი")
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: შპს პეგა 51 (შემდგომში „პრინციპალი")
პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 200217906
პრინციპალის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონში მუხიანი III მ\რ, კორპ.22 ბ.21
ბენეფიციარი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „ბენეფიციარი")
ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 204562311
საგარანტიო თანხა: 200 (ორასი) ლარი

ვითვალისწინებთ რა, რომ პრინციპალი მზად არის წარმოადგინოს თავისი სატენდერო წინადადება ბენეფიციარის სატენდერო კომისიის მიერ სვანური კოშკების და მაჩუბების (მესტიის მუნიციპალიტეტი) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

სს „საქართველოს ბანკი" ვიღებთ გამოუთხოვად ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე, რომლის მიხედვითაც დროულად და სრულად უზრუნველყოფთ ბენეფიციარისათვის ჯამურად 200 (ორასი) ლარის გადახდას შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ სატენდერო წინადადების გახსნის შემდეგ პრინციპალმა უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;
2. თუ პრინციპალი გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს ბენეფიციართან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;
3. თუ პრინციპალი დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

გარანტიის მოქმედების ვადა არის: 29 ივნისი 2014 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ბანკი უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისთანავე, ბენეფიციარის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ ბენეფიციარის მოთხოვნაში მითითებულ იქნება, რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევ(ებ)ის დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა და შემსყიდველის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება ბანკს გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე მისამართზე: სს „საქართველოს ბანკი" (ს/კ: 204378869), სათაო ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი 0160, საქართველო, თბილისის დროით (UTC/GMT +04:00 hours) 17:00 საათამდე, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ.

წერილობითი ფორმით წამოყენებულ ბენეფიციარის მოთხოვნას საბანკო გარანტიაზე თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით თან უნდა ერთვოდეს საბანკო გარანტიის ასლი და მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

პატივისცემით,
ეთერ ჩხეიძე
გარანტიების სამსახურის უფროსი

რეკვიზიტები

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება - შ.პ.ს. „პეგა-61“

ხელმძღვანელის სახელი და გვარი - ნუგზარ ჩხეტიანი

კონკურსანტის იურიდიული მისამართი - მუხიანის III-მიკრორაიონი კორ. 22 ბინა 21

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი - დ. მესტია ბ..კახიანის № 45

საიდენტიფიკაციო კოდი - 2000217906

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი - 599 14 06 67

ელექტრონული მისამართი - harper91@mail.ru

ბანკის კოდი - BAGAE22

ანგარიშსწორების ანგარიში - GE82BG0000000178593600

საკონკურსო წინადადების ფასი - 19800

საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა - 30.07.2014 წ.

ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად - არა

ხელმძღვანელის ხელმოწერა

# აფიდავიტი

## საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და განცხადებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და განცხადებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $195^1$ მუხლის შესაბამისად.

# შპს „პეგა-61"
# საკვალიფიკაციო მონაცემები

შპს „პეგა-61"-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამოქალაქო მშენებლობა და პროექტები,

შპს „პეგა-61"-ის აღმასრულებელი დირექტორი ნუგზარ ჩხეტიანი, 1976-91 და 2002-2004 წლებში ვმუშაობდი მესტიის რაიონის მთავარ არქიტექტორად. სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე ვაკონტროლებდით მესტიის რაიონში არქიტექტურულად ნაკრძალად გამოცხადებულ უბნებში მშენებლობის კანონიერებას.

ვმონაწილეობდი დ. მესტიის ნაკრძალი უბნის, „ლამჩვალის" განაშენიანება-ადაპტაციის პროექტის დამუშავებაში საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქშენსახ-პროექტთან" ერთად. 2003 წელს შპს „არკოს" მიერ გადახურული და რეაბილიტირებული იქნა 28 სვანური კოშკი, რომელიც ჩატარდა ჩემი ხელმძღვანელობით.

2012 წელს „პეგა-61"-ის მიერ დამუშავდა 13 კოშკის ტექნიკური დოკუმენტაცია, ვმონაწილეობდით აღნიშნული პროექტის რეაბილიტაციაში საავტორო ზედამხედველობის სტატუსით.

2011 წელს მესტიის ძველი უბნის, ლანჩვალის აღდგენა-რეაბილიტაციის ფარგლებში შპს „სხივთან" ერთად ვხელმძღვანელობდი სამშენებლო სარესტავრაციო სამუშაოებს. კერძოდ აღდგენილი იქნა თითქმის მთლიანად დანგრეული ორი სვანური კოშკი, ათ სვანურ საცხოვრებელ სახლს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები, მათ შორის მარგიანების სახლმუზეუმს და ლანჩვალის საგუშაგო კოშკს. აღნიშნული სამუშაოები ჩატარდა ძეგლთა დაცვის სააგენტოს მიერ მოწოდებული პროექტით და რეკომენდაციების მიხედვით.

2012 წელს დავაპროექტე და აღვადგინეთ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი – ლანჩვალის ქუჩაზე მდებარე ლევან ხერგიანის მაჩუბი. სოფ. ეცერში ქურაშის წმ. გიორგის ეკლესიის გადახურვა. სოფ. უშგულში ჩაჟაშის ეკლესიის გადახურვა.

2013 წელს ჩემი პროექტით განხორციელდა 11 კოშკის და ერთი მაჩუბის აღდგენა-რესტავრაცა.

სხვადასხვა დროს დაპროექტდა და აშენდა დ. დმანისის წმინდა გიორგის და სოფ. ჭუბერში ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიები.

შპს „პეგა-61"-ის ინჟინერ კონსტრუქტორი ვ. ხადიშვილი, გააჩნია შესაბამისი სპეციალობით 40 წლიანი გამოცდილება. არის ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე ისტ. ძეგლის კაზარიანცის სახლის აღდგენა-გამაგრების პროექტის ავტორი.

ნუგზარ ჩხეტიანი

შპს „პეგა-61"-ის აღმასრულებელი დირექტორი

| | შესასრულებელი სამუშაოების დასახელება | განზ. | რაოდ. |
|---|---|---|---|
| 1 | განმარტებითი ბარათი | ლარი | 100 |
| 2 | საპროექტო ობიექტის სიტუაციური გეგმა | – | 250 |
| 3 | ფოტოფიქსაცია | – | 400 |
| 4 | არქიტექტურული ანაზომები | – | 3000 |
| 5 | კონსტრუქციული დეტალების სქემები და ტექსტური აღწერილობა | – | 620 |
| 6 | კონსტრუქციული ნახაზები | ლარი | 2500 |
| 7 | რესტავრაციის (მუშა ნახაზები) | – | 4000 |
| 8 | სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი | – | 250 |
| 9 | ჩასატარებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვები | – | 2500 |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | ჯამი | | 13620 |
| | | | |
| | ზედნადები ხარჯები 12 % | | 1634 |
| | | ჯამი | 15254 |
| | გეგმიური დაგროვება 10 % | | 1526 |
| | | ჯამი | 16780 |
| | დღგ 18 % | | 3020 |
| | | | |
| | სულ ჯამი | | 19800 |
| | | | |

შ.პ.ს. "პეგა-61"-ის დირექტორი ნ. ჩხეტიანი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღსადგენი ძეგლების (კოშკების და მაჩუბების) არსებული მდგომარეობის აღწერა

1. მზიური ჯაფარიძის კოშკი: მდებარეობს დ. მესტიის ცენტრში „სეტი"-ს უბანში. გამოსაცვლელია კოშკის ყავრით გადახურვის ხის კონსტრუქციები მთლიანად. „შდურები"-ს მთელ პარამეტრზე გადასაწყობია ქვის წყობა ახალი მასალის დამატებით, კირის ხსნარით. სართულშუა გადახურვები შენარჩუნებულია მაგრამ მოსაწყობია ხის ასასვლელი კიბეები.
2. ჯეირან ფალიანის კოშკი: მდებარეობს მესტიის ისტორიულ უბან ლაღამში. მთლიანად გამოსაცვლელია გადახურვის ხის კონსტრუქციები. კოშკის აღმოსავლეთ კედელზე შეიმჩნევა ბზარი რომელიც შესავსებია კირის დუღაბით.
3. ნაკანების საგვარეულო კოშკი: მდებარეობს დ. მესტიის ცენტრში, „სეტი"-ის უბანში. გამოსაცვლელია გადახურვის ხის კონსტრუქციები, „შდურები"-ს მთელ პერიმეტრზე გადასაწყობია ქვის წყობა ახალი მასალის დამატებით, კირის ხსნარით.
4. გურამ ქურდიანის კოშკი: გამოსაცვლელია გადახურვის ხის კონსტრუქციები.
5. კაკო ქურდიანის კოშკი: გამოსაცვლელია გადახურვის ხის კონსტრუქციები.
6. უშანგი გუჯეჯიანის პატარა კოშკი, გამოსაცვლელია სახურავის ხის კონსტრუქციები და აღსადგენია აღმოსავლეთი კედლის გამონგრეული ნაწილი.
7. „ქემაშა" საგვარეულო კოშკი: აღსადგენია კოშკის მე-3 სართულის კედლები, მოსაწყობია კოშკის „შდურებიანი" სართული, მოსაწყობია სართულშუა გადახურვები სამ დონეზე, გადასახურია კოშკი ახალი ხის კონსტრუქციებით.
8. ჯაჯა ქოშკიანის კოშკი: გამოსაცვლელია გადახურვის ხის კონსტრუქციები, „შდურები"-ს მთელ პერიმეტრზე გადასაწყობია ქვის წყობა ახალი მასალის დამატებით, კირის რთული ხსნარით.
9. ილია გულედანის კოშკი: მდებარეობს სოფ. ლენჯერში. კოშკის დასავლეთ კუთხე ჩამონგრეულია, აღსადგენია კოშკის კედლები, მოსაწყობია ახალი ქონგურები, აღსადგენია მიშენებული „მაჩუბის" მე-2 სართულის ჩრდილოეთი კედლები, მოსაწყობია სართულშუა გადახურვა მე-3 სართულზე.
10. ზვია ჟორჟოლიანის კოშკი: მდებარეობს სოფ. მულახში. კოშკში გამოსაცველია გადახურვის ხის კონსტრუქციები, მთელ პერიმეტრზე გადასაწყობია ქვის წყობა ახალი მასალის დამატებით.
11. ჯუმბერ კახიანის კოშკი: მდებარეობს სოფ. მულახში. გამოსაცვლელია კოშკის გადახურვის ხის კონსტრუქციები აღსადგენია კოშკის აღმოსავლეთი კედლის საყრდენი კედელი.
12. ნავერიანების საგვარეულო კომპლექსი: შედგება ორი ერთმანეთზე მიდგმული სხვადასხვა ზომის კოსკებისა და მაჩუბების სისტემისაგან. მომცრო კოშკს აღმოსავლეთის მხრიდან აღენიშნება დიდი ბზარები რომელიც კოშკს გასდევს საძირკვლამდე.

დანგრეულია მცირე კოშკის ჩრდილოეთი კედლის პირველი სართულის შესასვლელი კარები. აუცილებელია მცირე კოშკის „შდურები"-ს სართულის დონეზე მოეწყოს რკინა - ბეტონის ფილა კედლების დამჭერი კონსტრუქციის გათვალისწინებით. აგრეთვე სახურავის მთელ პარამეტრზე მოეწყოს დაფარული რკინა-ბეტონის სეისმური სარტყელი. გამოსაცვლელია ორივე კოშკის გადახურვის ხის კონსტრუქციები. კოშკებზე მიდგმული დანგრეული მაჩუბები აღდგენას არ ექვემდებარებიან.

13. ლიანა გიგანის კოშკი: კოშკის გადახურვები გამოცვლილია. აღინიშნება კოშკის კედლებიდან ქვების ცვენა (შელესვები გამოფიტვის გამო) რომელიც ზიანს აყენებს კოშკზე მიდგმულ საცხოვრებელი სახლის სახურავს. უნდა შებათქაშდეს კოშკის კედლები კირის რთული ხსნარით.
14. ფარჯიანი თამროს კოშკი: მიდგმულია საცხოვრებელ სახლს და მაჩუბს. კოშკის ზედა სართულები დანგრეულია, გადახურვა მოწყობილია ცალ ფერდზე ხის კონსტრუქციებით ±8.9 ნიშნულზე. გამოსაცვლელია ხის გადახურვები ახლანდელი სახით პარამეტრის ქვის კედლების გადაწყობით. აღსადგენია „მაჩუბი"-ის დანგრეული ნაწილი.
15. ჯაჯვანი ლელას კოშკი: დანგრეულია პირველ სართულამდე. დარჩენილი კოშკის კედლები გამოფიტულია და საშიშროებას უქმნის როგორც კოშკზე მიშენებულ სახლს, ასევე ქუჩაში მოსიარულე ხალხს. აუცილებელია დარჩენილი ნაწილი (რომლის შენარჩუნება შეუძლებელია) მოიხსნას და მოეწყოს არსებული კედლების გამაგრება-შევსება კირის დუღაბით.
16. ჩართოლანი ოთარის მაჩუბი: გასამაგრებელია სართულშუა გადახურვები, გამოსაცვლელია მაჩუბის გადახურვის ხის კონსტრუქციები, შესაკრავია კედლები რკინა-ბეტონის ფარული სეისმური სარტყელით, შესავსებია გამონგრეული ქვის კედლები, გასამაგრებელია კონტრფორმებით, ბზარები შესავსებია კირის დუღაბით.
17. რატიანი გიორგის მაჩუბი: გასამაგრებელია სართულშუა გადახურვის კონსტრუქციები, მაჩუბში შემონახულ ხეზე ჭრის უნიკალური ნიმუშების შენარჩუნებით, გამოსაცვლელია გადახურვის ხის კონსტრუქციები მისი პირვანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, დასაშლელია და ხელახლა ასაშენებელია დეფორმირებული ქვის კედლები, მოსანგრევია გვიანდელი მიშენებული საცხოვრებელი სახლის ნაწილი, გადასახურია მაჩუბზე მიდგმული კოშკი.
18. სოფ მაზერი: აღსადგენია კოშკის დანგრეული კედლები, პირვანდელ მდგომარეობამდე სამხრეთი კედლის საძირკვლების გამაგრებით, სართულშუა გადახურვის ტრადიციული წესის მოწყობით და „შდუროიანი" სართულის დამატებით.

არქ. [signature] ნ . ჩხეტიანი



1. მზიური ჯაფარიძის კოშკი



2. ჯეირან ფალიანის კოშკი

3. ნაკანების საგვარეულო კოშკი





4. გურამ ქურდიანის კოშკი



5. კაკო ქურდიანის კოშკი



6. უშანგი გუჯეჯიანის პატარა კოშკი



7. ქემაშა საგვარეულო კოშკი

8. ჯაჯა ქორქიანის კოშკი



9. ილია გულედანის კოშკი



ჰვიად ქორყოლიანის კოშკი



11. ჯუმბერ კახიანის კოშკი



12. ნავერიანების საგვარეულო კოშკი





13. ლიანა გიგანის კოშკი





15. ჯაჯვანი ლელას კოშკი



16. ოთარ ჩართოლანის მაჩუბები

17. გიორგი თაღიანის სახლი





18. დადეშქელიანების კოშკი